ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა

ხშირად დასმული კითხვები

1. ვის შეუძლია პროგრამაში მონაწილეობა?

საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დარეგისტრირებულია სააგენტოს მწარმოებელთა ელექტრონულ ბაზაში და ახორციელებს ქართული **ღვინის** ექსპორტს მსოფლიოს მასშტაბით, გარდა **საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანის, მოლდოვას და დსთ-ს ქვეყნებისა.** აგრეთვე, უნდა ახორციელებდეს მარკეტინგულ აქტივობებს და გააჩნდეს ბოლო 3 წლის მანძილზე გაწეული მარკეტინგული ხარჯი.

2. რა პირობებით ანაზღაურდება მარკეტინგული ხარჯები?

- ბენეფიციარი მოახდენს მეტი (ლიტრი) ღვინის ექსპორტს მიმდინარე კალენდარულ წელს, ვიდრე ექსპორტირებული აქვს წინა კალენდარულს წელს;
- ბენეფიციარი მიმდინარე საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფს მეტი მარკეტინგული ხარჯის გაწევას ვიდრე გაწია წინა საანგარიშო პერიოდში.
- მარკეტინგული ხარჯიც და ექსპორტის მოცულობაც დაითვლება საქართველოს, სუამის და დსთ-ის გარეთ არსებულ ბაზრებზე.
- ხარჯების ასანაზღაურებლად აუცილებელია ორივე პარამეტრის: ექსპორტის მოცულობა და მარკეტინგული ხარჯი, იყოს იმაზე მეტი ვიდრე წინა წელს.
- იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს წინა კალენდარული წლის და საანგარიშო პერიოდში არ აქვს გაწეული მარკეტინგული ხარჯი ან/და არ განუხორციელებია ღვინის ექსპორტი პროგრამის პირობების შესაბამისად, დაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნება არაუგვიანეს გასული 3 წლის განმავლობაში უკანასკნელად გაწეული მარკეტინგული ხარჯი და ექსპორტირებული ღვინის მოცულობა.
- პოტენციურ ბენეფიციართან გაფორმდება დაფინანსების ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ მას უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში რომელიმე წელს გაწეული აქვს მარკეტინგული ხარჯი და განუხორციელებია ღვინის ექსპორტი პროგრამის პირობების შესაბამისად.
- თითოეულ ბენეფიციარზე კალენდარული წლის მანძილზე გასაცემი ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება არა უმეტეს 600 000 ლარით.

3. რა სახის მარკეტინგული ხარჯების ანაზაურებას ითვალისწინებს პროგრამა?

- ქსელური ტიპის საცალო გაყიდვების ობიექტებში შესვლის უზრუნველყოფის მიზნით სხვადასხვა სახის მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება;
- სავაჭრო ქსელებისა და ღვინის სპეციალიზირებულ მაღაზიებში გაყიდვების წახალისების/სტიმულირების მიზნით თაროების ბრენდირება, სავაჭრო ობიექტის კატალოგში განთავსება, დეგუსტაციები;
- სავაჭრო ობიექტებისა და ღვინის სპეციალიზირებულ მაღაზიებში ღვინის გაყიდვების ეფექტიანობის უზრუნველყოფა - საერთაშორისო კომპანიის დაქირავება პროდუქციის ეფექტუად განლაგების/წარდგენის მიზნით;
- გაყიდვების ზრდისკენ მიმართული მედიაკამპანია; სხვადასხვა სახის მედიასაშუალებებში ღვინის გაყიდვების ონლაინ პლატფორმებისა და სოციალურ ქსელებში პროდუქტის რეკლამირების შესყიდვა;
- გაყიდვების ზრდის მიზნით გაყიდვების აგენტების მომსახურების შესყიდვა;
- ახალი პარტნიორის მოძიების მიზნით, სამიზნე ბაზარზე გაყიდვების ზრდისკენ მიმართულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

4. რომელ ქვეყნებში გაწეული მარკეტინგული ხარჯების ანაზღაურებას არ ითვალისწინებს პროგრამა?

პროგრამის ფარგლებში **არ დაანგარიშდება** საქართველოში რეალიზებული, სუამის (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა) და დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტირებული (ლიტრი) ღვინის მოცულობა.

5. რა სახის დოკუმენტაცია უნდა წამოადგინოს პროგრამაში მონაწილე კომპანიამ

დოკუმენტაციის წარდგენის პროცედურა მოიცავს ორ ეტაპს:
პირველ ეპატზე კომპანიამ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- შევსებული განაცხადი (დანართი N1)
- უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- ცნობა ან/და შედარების აქტის სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან საგადასახადო დავალიანების არქონის შესახებ;
- საბანკო რეკვიზიტები;
- სხვა დამატებითი დოკუმენტაცია სააგენტოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში;

დოკუმენტაციის მიღების ბოლო ვადაა 2022 წლის 1 აგვისტო

მეორე ეტაპზე წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან, შესაბამისი კალენდარული წლების განმავლობაში ექსპორტირებული ღვინის (ლიტრის) მოცულობის შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების მომზადებული საექსპორტო/აუდიტორული ანგარიში, შესაბამის საანგარიშო პერიოდებში გაწეული მარკეტინგული ხარჯების ოდენობის შესახებ;
- „ვაზისა და ღვინის“ კანონით განსაზღვრული მცირე ზომის მარნის შემთხვევაში, საექსპორტო/აუდიტორული ანგარიშის მისაღებად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი საბუთი.

დოკუმენაციის მიღების ბოლო ვადაა 2023 წლის 1 მარტი.

6. როგორ ანგარიშდება ასანაზაურებელი მარკეტინგული ხარჯები და ექსპორტის ოდენობა?

ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა გამოანგარიშდება შემდეგი წესით:

ა) მიმდინარე კალენდარულ წელს ექსპორტირებული (ლიტრი) ღვინის მოცულობას გამოაკლდება წინა კალენდარულ წელს ექსპორტირებული (ლიტრი) ღვინის მოცულობა;

ბ) მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გაწეული მარკეტინგული ხარჯების ოდენობას გამოაკლდება წინა საანგარიშო პერიოდში გაწეული მარკეტინგული ხარჯების ოდენობა;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამოთვლილი მარკეტინგული ხარჯის ოდენობა გაიყოფა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამოთვლილი (ლიტრი) ღვინის მოცულობაზე და მიღებული თანხა წარმოადგენს ექსპორტირებულ ერთ ლიტრ ღვინოზე დაანგარიშებით ასანაზღაურებელ მარკეტინგულ ხარჯს, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 2 ლარს;

დ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამოთვლილი ღვინის მოცულობა (ლიტრი) გამრავლდება ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით მიღებულ ასანაზღაურებელ მარკეტინგულ ხარჯზე და მიიღება ასანაზღაურებელი თანხა.

7. რა ბიუჯეტს ითვალისწინებს პროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება?

კალენდარული წლის მანძილზე გასაცემი ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა თითოეულ ბენეფიციარზე განისაზღვრება არაუმეტეს 600 000 ლარით, ხოლო დაანგარიშების შემდგომ მიღებული მარკეტინგული ხარჯი ერთ ლიტს ღვინოზე არ უნდა აღემატებოდეს 2 ლარს.

8. რა პერიოდს მოიცავს კალენდარული წელი და საანგარიშო პერიოდი?

- კალენდარული წელი არის დროის მონაკვეთი ერთი წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით;
- საანგარიშო პერიოდი არის დროის მონაკვეთი ერთი კალენდარული წლის 1 ოქტომბრიდან შემდგომი კალენდარული წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

9. რა დამატებითი ბენეფიტი აქვთ პროგრამაში მონაწილე მცირე ზომის მარნებს?

პოტენციურ ბენეფიციარებს - „ვაზისა და ღვინის“ კანონით განსაზღვრულ მცირე ზომის მარნებს აუნაზღაურდებათ აუდიტორული ანგარიშის საფასური, არაუმეტეს 300 ლარისა.

10. რა ვადებში ხდება დოკუმენტაციის წარდგენა?

- პირველი ეტაპისთვის განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენის ბოლო ვადაა 2022 წლის 1 აგვისტო.
- მეორე ეტაპისთვის ანაზღაურების საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის ვადა განისაზღვრება 2023 წლის 1 მარტი.

11. რა ფორმით და სად უნდა გააგზავნოს პროგრამაში მონაწილე კომპანიამ შესაბამისი დოკუმენტაცია?

კომპანიამ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია უნდა გამოაგზავნოს ელექტრონულად შემდეგ მეილზე: info@wine.gov.ge
ან წარმოადგინოს მატერიალური სახით სსიპ ღვინის ეროვნულ სააგენტოში მისამართიზე: თბილისი, მარშალ გელოვანის N6.

თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის კოორდინატორი
ანა გულდედავა
+995 593 039 039